



“დამტკიცებულია”  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)  
2017 წლის 21 მაისის  
№ 26 სხდომის №1 დადგენილებით  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2017 წლის 8 მაისის №240 დადგენილები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი  
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი

2017

# თავი I. შესავალი დებულებები

## პრეამბულა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტრუქტურაში შემავალი **დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული** - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი)

- შეიქმნა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 თებერვლის №406 დადგენილებით კავკასიაში პირველი საბუნებისმეტყველო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების – თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური (გეოფიზიკური) ობსერვატორიის (1844 წ.) ბაზაზე.
- საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წ. 10 მარტის № 293 დადგენილების საფუძველზე 1992 – 2005 წლებში ინსტიტუტი იმყოფებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში.
- საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებით „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნების შესახებ“ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტმა მიიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის №210 დადგენილებით ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი რეორგანიზებული იქნა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულად როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი არის სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომლის ავტონომიურობის ფარგლები, მართვისა და საქმიანობის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით, რომელსაც ინსტიტუტის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

1.2 ინსტიტუტი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით „უმაღლესი განათლების შესახებ“, შესაბამისი ნორმატიული აქტებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით. ინსტიტუტი ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.

1.3. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესითა და პროპორციით ინსტიტუტს ჰყავს წარმომადგენლები უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში, რომლის არჩევის წესი რეგულირდება „მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ“ საუნივერსიტეტო დებულებით.

1.4. ინსტიტუტს აქვს შტამპი, ბეჭედი (ინსტიტუტის სიმბოლიკით) და ბლანკი შიდა მიმოწერისათვის. ინსტიტუტს ჰყავს წარმომადგენელი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში,

1.5. ინსტიტუტის ოფიციალური დასახელებაა:

ქართულად	-	<b>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;</b>
ინგლისურად	-	<b>Institute of Hydrometeorology at the Georgian Technical University.</b>
რუსულად	-	<b>Институт гидрометеорологии Грузинского технического университета.</b>

## მუხლი 2. ინსტიტუტის უფლებები, მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

2.1. ინსტიტუტს უფლება აქვს:

- ა) განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა;
- გ) უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით ორგანიზება გაუწიოს სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებს საკუთარი ან მოძიებული ფინანსური უზრუნველყოფით;
- დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს - გააფორმოს ხელშეკრულებები ან/და მემორანდუმები ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შედგენისა და განხორციელების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- ე) უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში;
- ვ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში;
- ზ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- თ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით სტუდენტები ჩართოს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;
- ი) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

2.2. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

2.3. ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განახორციელოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა.

**2.4. ინსტიტუტის მიზნები:**

ა). განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს დაბინძურების მონიტორინგის თეორიულ და გამოყენებით პრობლემებზე საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, კერძოდ:

ა.ა) ამინდის მოვლენების, აგრომეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გარემოს დაბინძურების საპროგნოზო ახალი მეთოდების დამუშავება და არსებული მეთოდების სრულყოფა უპირველეს ყოვლისა საქართველოს ტერიტორიისათვის, აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა რეგიონებისათვის.

ა.ბ) კვლევითი და სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის ღონისძიებების განხორციელება საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებისა და პროცესების (ქარიშხალი, შკვალი, ძლიერი ნალექები, ელჭექი, სეტყვა, გვალვა, გაუდაბნობა, წყალმოვარდნა, წყალდიდობა, ღვარცოფი, თოვლის ზვავი და სხვ.) რადიოლოკაციური, თანამგზავრული და სხვა სახის მონიტორინგის სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის დარგში.

ა.გ) გამოკვლევების წარმოება დრუბელთა ფიზიკისა და ქიმიის, ნალექწარმოქმნელი პროცესების რეგულირების დარგში. ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარება და საცდელ-საწარმოო სამუშაოების ხელმძღვანელობა, რომელთა მიზანს წარმოადგენს წვიმისა და თოვლის სტიმულირება გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში წყლის რესურსების გაზრდის მიზნით, სეტყვასთან ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის მიყენებული ზარალის შესამცირებლად, მთიან რეგიონებში ნალექთა გადანაწილება.

ა.დ) კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენის გამოკვლევა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ბუნებრივ გარემოზე და სოციალურ – ეკონომიკურ სფეროზე. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოში წარმოებულ სამუშაოებში მონაწილეობის მიღება. კლიმატური და განახლებადი ენერჯეტიკული რესურსების შესწავლა, მსხვილ სამეურნეო ღონისძიებათა კლიმატური დასაბუთების შემუშავება, ცალკეული რეგიონების კლიმატურ აღწერილობათა შედგენა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-საწარმოო ორგანიზაციების საქმიანობის, აგრეთვე კურორტებისა და სანატორიუმების ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად.

ა.ე) სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ჩაი, ვაზი, ციტრუსოვანი კულტურები, ხეხილი, ტექნიკური კულტურები, ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი და სხვ.) აგროკლიმატური რესურსების შესწავლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის და ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ა.ვ) ზღვების, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მყინვარებისა და ჭაობების წყლის რესურსებისა და ჰიდრომეტეოროლოგიური რეჟიმის, მდინარეთა ჩამონადენის და კალაპოტური პროცესების შესწავლა, მათი მახასიათებლების დადგენა, გაზომვის და გამოთვლის ახალი მეთოდების შექმნა და არსებული მეთოდების სრულყოფა. კავკასიის რეგიონში წყლის რესურსების და მათი ხარისხის მართვის პრობლემების დამუშავება.

ა.ზ) ღვარცოფული ნაკადებისა და თოვლის ზვავების ფორმირების, მოძრაობისა და გავრცელების რეჟიმის შესწავლა, მათი პროგნოზისა და გამოთვლის მეთოდების დამუშავება-აპრობაცია ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

ა.თ) მელიორირებადი ტერიტორიების წყლის, სითბური და მარილოვანი ბალანსის, ჰიდრომეტეოროლოგიური რეჟიმისა და რესურსების შესწავლა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება მავნე შედეგების აღსაკვეთად ან შესამცირებლად. ჰიდრომელიორაციული საინჟინრო პროექტირებისა და საავტორო ზედამხედველობის განხორციელება მათი საწარმოო დანერგვის პროცესში.

ა.ი) გამოკვლევათა ორგანიზაცია და ჩატარება ბუნებრივი გარემოს დაბინძურების განსაზღვრის მიზნით ფიზიკური, ქიმიური, რადიომეტრული და სხვა მანევრებლების მიხედვით. საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) ნავთობისა და გაზის სადენების მოქმედების არეში ბუნებრივი გარემოს სხვადასხვა კომპონენტებში ცალკეული ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრის, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენის მიერ დაბინძურების მონიტორინგისა და პროგნოზის მეთოდების დამუშავება.

ა.კ) ჰაერის, ნიადაგისა და ხმელეთის წყლების რადიოაქტიური დაბინძურების პერიოდული გაზომვების ჩატარება სინჯების ანალიზის საფუძველზე.

ა.ლ) ბუნებრივ გარემოსა და კლიმატზე ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორებისა და ადამიანის საწარმოო საქმიანობის გავლენის გაანალიზება, ეკოლოგიური სიტუაციის შესაძლო ცვლილებების პროგნოზი ამ საქმიანობის შედეგად, რეკომენდაციების შემუშავება ბუნებრივ გარემოზე ხელოვნური ზემოქმედების მავნე შედეგების თავიდან ასაცილებლად.

ა.მ) სხვადასხვა საშიშ და მავნე ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებთან და პროცესებთან (თოვლის ზვავები, ღვარცოფები, სეტყვა, გვალვა, გაუდაბნობა, ნისლი, წაყინვები, მიწების დამლაშება, დაჭაობება და სხვ.) ბრძოლის მეთოდების დამუშავება, სრულყოფა და დანერგვა.

ა.ნ) სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის სამუშაოების განხორციელება ჰიდრომეტეოროლოგიის, აგრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის, პროგნოზებისა და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების ხელოვნური რეგულირების დარგში წარმოებულ სამუშაოებზე, აგრეთვე ჰიდრომეტეოროლოგიურ და გარემოს დაბინძურების კონტროლის ქსელში წარმოებულ დაკვირვებებზე.

ა.ო) საქართველოს პარლამენტის, სამთავრობო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების, აგრეთვე კერძო პირების დაკვეთით დამოუკიდებლად ან მათთან ერთად მონაწილეობის მიღება ტერიტორიების შესწავლა-შემოწმებაში, რომლებიც აღმოჩნდნენ საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესებისა, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების ზემოქმედების ქვეშ. სამეურნეო საქმიანობის შედეგად გარემოზე ზემოქმედების შეფასების სათანადო დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების

შემუშავება ამ პროცესების მანვე შედეგების შემცირებისა ან თავიდან აცილების მიზნით.

ა.კ) საგანმანათლებლო მოღვაწეობა მეცნიერების აღნიშნულ დარგებში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით. კერძოდ, უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესში ინსტიტუტის მეცნიერთა ჩართვა, დოქტორანტების, მაგისტრანტების და რიგ შემთხვევაში ბაკალავრების მომზადება, მათი სათანადო საკვალიფიკაციო შრომათა დამუშავება-დაცვის ხელშეწყობა.

ბ).საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-ტექნიკური, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება;

გ).ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობა;

დ). სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა;

ე). ახალი ტექნოლოგიების შექმნა, ანალიზი და გავრცელება;

ვ). საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;

ზ). ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მობილობის წახალისება;

თ). ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებაში და გადამზადებაში მონაწილეობის მიღება;

ი).უნივერსიტეტში დოქტორანტურის, მაგისტრატურის და რიგ შემთხვევებში ბაკალავრიატის სტუდენტების ჩართვა ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტებში;

კ).ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განახორციელოს სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა;

ლ).საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით ორგანიზება გაუწიოს სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებს;

მ).საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით და დგენილი წესით ითანამშრომლოს საქართველოს და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

ნ).საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში;

ო).უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე სტუდენტთა მიერ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში;

პ).უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით ჩართოს სტუდენტები სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;

ჟ).განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა;

რ).ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

ს).ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განახორციელოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა.

## **2.5.ინსტიტუტის ამოცანები:**

2.5.1 სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევებისა და სამუშაოების ჩატარება ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს დაბინძურების მონიტორინგის თეორიულ და გამოყენებით პრობლემებზე საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

კერძოდ:

ა) ამინდის მოვლენების, აგრომეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გარემოს დაბინძურების საპროგნოზო ახალი მეთოდების დამუშავება და არსებული მეთოდების სრულყოფა უპირველეს ყოვლისა საქართველოს ტერიტორიისათვის, აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა რეგიონებისათვის.

ბ) კვლევითი და სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის ღონისძიებების განხორციელება საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებისა და პროცესების (ქარიშხალი, შკვალი, ძლიერი ნალექები, ელჭექი, სეტყვა, გვალვა, გაუდაბნობა, წყალმოვარდნა, წყალდიდობა, ღვარცოფი, თოვლის ზვაგი და სხვ.) რადიოლოკაციური, თანამგზავრული და სხვა სახის მონიტორინგის სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის დარგში.

გ) გამოკვლევების წარმოება ღრუბელთა ფიზიკისა და ქიმიის, ნალექწარმოქმნელი პროცესების რეგულირების დარგში. ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარება და საცდელ-საწარმოო სამუშაოების ხელმძღვანელობა, რომელთა მიზანს წარმოადგენს წვიმისა და თოვლის სტიმულირება გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში წყლის რესურსების გაზრდის მიზნით, სეტყვასთან ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის მიყენებული ზარალის შესამცირებლად, მთიან რეგიონებში ნალექთა გადანაწილება.

დ) კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენის გამოკვლევა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ბუნებრივ გარემოზე და სოციალურ – ეკონომიკურ სფეროზე. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოში წარმოებულ სამუშაოებში მონაწილეობის მიღება. კლიმატური და განახლებადი ენერგეტიკული რესურსების შესწავლა, მსხვილ სამეურნეო ღონისძიებათა კლიმატური დასაბუთების შემუშავება, ცალკეული რეგიონების კლიმატურ აღწერილობათა შედგენა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-საწარმოო ორგანიზაციების საქმიანობის, აგრეთვე კურორტებისა და სანატორიუმების ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად.

ე) სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ჩაი, ვაზი, ციტრუსოვანი კულტურები, ხეხილი, ტექნიკური კულტურები, ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი და სხვ.) აგროკლიმატური რესურსების შესწავლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის და ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ვ) ზღვების, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მყინვარებისა და ჭაობების წყლის რესურსებისა და ჰიდრომეტეოროლოგიური რეჟიმის, მდინარეთა ჩამონადენის და კალაპოტური პროცესების შესწავლა, მათი მახასიათებლების დადგენა, გაზომვის და გამოთვლის ახალი მეთოდების შექმნა და არსებული მეთოდების სრულყოფა. კავკასიის რეგიონში წყლის რესურსების და მათი ხარისხის მართვის პრობლემების დამუშავება.

ზ) ღვარცოფული ნაკადებისა და თოვლის ზვავების ფორმირების, მოძრაობისა და გავრცელების რეჟიმის შესწავლა, მათი პროგნოზისა და გამოთვლის მეთოდების დამუშავება-აპრობაცია ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

თ) მედიორირებადი ტერიტორიების წყლის, სითბური და მარილოვანი ბალანსის, ჰიდრომეტეოროლოგიური რეჟიმისა და რესურსების შესწავლა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება მავნე შედეგების აღსაკვეთად ან შესამცირებლად. ჰიდრომელიორაციული საინჟინრო პროექტირებისა და საავტორო ზედამხედველობის განხორციელება მათი საწარმოო დანერგვის პროცესში.

ი) გამოკვლევათა ორგანიზაცია და ჩატარება ბუნებრივი გარემოს დაბინძურების განსაზღვრის მიზნით ფიზიკური, ქიმიური, რადიომეტრული და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) ნავთობისა და გაზის სადენების მოქმედების არეში ბუნებრივი გარემოს სხვადასხვა კომპონენტებში ცალკეული ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრის, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენის მიერ დაბინძურების მონიტორინგისა და პროგნოზის მეთოდების დამუშავება.

კ) ჰაერის, ნიადაგისა და ხმელეთის წყლების რადიოაქტიური დაბინძურების პერიოდული გაზომვების ჩატარება სინჯების ანალიზის საფუძველზე.

ლ) ბუნებრივ გარემოსა და კლიმატზე ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორებისა და ადამიანის საწარმოო საქმიანობის გავლენის გაანალიზება, ეკოლოგიური სიტუაციის შესაძლო ცვლილებების პროგნოზი ამ საქმიანობის შედეგად, რეკომენდაციების შემუშავება ბუნებრივ გარემოზე ხელოვნური ზემოქმედების მავნე შედეგების თავიდან ასაცილებლად.

მ) სხვადასხვა საშიშ და მავნე ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებთან და პროცესებთან (თოვლის ზვავები, ღვარცოფები, სეტყვა, გვალვა, გაუდაბნობა, ნისლი, წაყინვები, მიწების დამლაშება, დაჭაობება და სხვ.) ბრძოლის მეთოდების დამუშავება, სრულყოფა და დანერგვა.

ნ) სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის სამუშაოების განხორციელება ჰიდრომეტეოროლოგიის, აგრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის, პროგნოზებისა და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების ხელოვნური რეგულირების დარგში წარმოებულ სამუშაოებზე, აგრეთვე ჰიდრომეტეოროლოგიურ და გარემოს დაბინძურების კონტროლის ქსელში წარმოებულ დაკვირვებებზე.

ო) საქართველოს პარლამენტის, სამთავრობო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების, აგრეთვე კერძო პირების დაკვეთით დამოუკიდებლად ან მათთან ერთად მონაწილეობის მიღება ტერიტორიების შესწავლა-შემოწმებაში, რომლებიც აღმოჩნდნენ საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესებისა, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების ზემოქმედების ქვეშ. სამეურნეო საქმიანობის შედეგად გარემოზე ზემოქმედების შეფასების სათანადო დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება ამ პროცესების მავნე შედეგების შემცირებისა ან თავიდან აცილების მიზნით.

2.5.2. საგანმანათლებლო მოღვაწეობა მეცნიერების აღნიშნულ დარგებში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით. კერძოდ, უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესში ინსტიტუტის მეცნიერთა ჩართვა, დოქტორანტების, მაგისტრანტების და რიგ შემთხვევაში ბაკალავრების მომზადება, მათი სათანადო საკვალიფიკაციო შრომათა დამუშავება-დაცვის ხელშეწყობა.

ა) საგანმანათლებლო მოღვაწეობა მეცნიერების აღნიშნულ დარგებში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით. კერძოდ, უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესში ინსტიტუტის მეცნიერთა ჩართვა, დოქტორანტების, მაგისტრანტების და რიგ შემთხვევაში ბაკალავრების მომზადება, მათი სათანადო საკვალიფიკაციო შრომათა დამუშავება-დაცვის ხელშეწყობა.

## 2.6. ინსტიტუტის ფუნქციები:

2.6.1. სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების შესრულება, აგრეთვე სამეცნიერო-მეთოდური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოების ჩატარება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და საწარმოებთან ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორს. ამ ამოცანების გადასაჭრელად ინსტიტუტი საკონტრაქტო საფუძველებზე დებს ხელშეკრულებებს წამყვან სპეციალისტებთან ცალკეული სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოების შესასრულებლად.

### 2.6.2. ინსტიტუტი აწარმოებს:

ა) ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროში, ასევე ნიადაგში მიმდინარე ფიზიკური და ქიმიური პროცესების თეორიულ, ექსპერიმენტულ და საექსპედიციო გამოკვლევებს სამხრეთ კავკასიისა და სხვა მთიანი რეგიონების ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურების რეჟიმების განმაპირობებელი კანონზომიერებათა დასადგენად, წინადადებების განხილვას და იძლევა დასკვნებს ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ქსელის განვითარებისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ბ) შესაბამისი მოთხოვნების დამუშავებას ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ხელსაწყოების შესაქმნელად, აგრეთვე არსებული საშუალებების სრულყოფის მიზნით, რაც საჭიროა ინსტიტუტის წინაშე არსებული ამოცანების გადასაჭრელად, ატარებს და მონაწილეობას დებულობს სხვადასხვა ფორმით ორგანიზებულ ამ ტექნიკის გამოცდებში და ექსპლუატაციაში შეყვანის სამუშაოებში;

გ) ამზადებს და გამოსცემს საკუთარი საგამომცემლო ბაზის გამოყენებით, ჩატარებული გამოკვლევების შედეგებს და განაზოგადებს მათ მონოგრაფიების, ინსტიტუტის შრომათა კრებულების, პრაქტიკული სახელმძღვანელოების, ატლასების, მეთოდური მითითებებისა და სხვა მასალების სახით;

დ) დადგენილი წესით რეგისტრაციაში ატარებს შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტო სამუშაოებს, ამზადებს და წარადგენს სათანადო ინსტანციებში და მომხმარებელთან სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, ანგარიშებს ჩატარებული სამუშაოების შესახებ, უზრუნველყოფს არსებული სამეცნიერო-ინფორმაციული მასალების სრულ და თავის დროულ გამოყენებას თავის სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფების მუშაობაში;

ე) უნივერსიტეტის ფაკულტეტების მოთხოვნათა შესაბამისად, ინსტიტუტში წარმოებული კვლევების მიმართულებათა მიხედვით ამზადებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და

დოქტორანტურის სტუდენტებს სასწავლო კურსების ჩატარებისა და სათანადო საკვალიფიკაციო ნაშრომთა დამუშავება-დაცვის გზით.

ე) ზრდის სამეცნიერო კადრებს დოქტორანტურის საშუალებით, სტაჟირების გზით და წამყვან სამეცნიერო ცენტრებში ახალგაზრდა სპეციალისტების მივლინებებით. ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის კადრებს ინსტიტუტთან შექმნილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საშუალებით;

ზ) დადგენილი წესით ახორციელებს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას ინსტიტუტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

თ) ყოველწლიურად ატარებს მაისის შუა რიცხვებში ტრადიციულ სამეცნიერო სესიას, რომელზედაც განიხილება ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის შედეგები და პერსპექტიული სამეცნიერო ამოცანები, ხოლო წლის ბოლოს-შემაჯამებელ სამეცნიერო სესიას, რომელზედაც იხილება დამთავრებული სამეცნიერო პროექტების (თემების) ანგარიშები. ორგანიზაციას უწევს და მონაწილეობს რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და სესიებში ინსტიტუტის საქმიანობის პროფილით;

ი) ხელს უწყობს ინსტიტუტთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და მცირე საწარმოების საქმიანობას, თუ იგი მიმართულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ამოცანების გადასაჭრელად, აგრეთვე ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად.

## **თავი II ინსტიტუტის სტრუქტურა, მართვა და მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში**

### **მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები**

- 3.1. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურა განისაზღვრება ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი დებულებით.
- 3.2. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მართვის ორგანოა სამეცნიერო საბჭო.
- 3.3. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები (განყოფილება, ლაბორატორია, ჯგუფი გამომცემლობა და სხვ.), მათი ხელმძღვანელობისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი დებულებით.
- 3.4. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ღირეპტორი ინსტიტუტის დებულებების შესაბამისად. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
- 3.5. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის/დანიშვნის წესი განისაზღვრება ინსტიტუტის დებულებით.

### **მუხლი 4. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულები, მათი ხელმძღვანელობა და საქმიანობა.**

- 4.1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე 5 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, ამტკიცებს ღირეპტორი და თანამდებობაზე ნიშნავს რეპტორი.
- 4.2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა-



ზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.

### **მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო**

- 5.1. ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები (მათ შორის ინსტიტუტის დირექტორი) ქმნიან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.
- 5.2. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა 2/3 მაინც.
- 5.3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს მისი წევრებისაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე.
- 5.4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:
  - ა) განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს;
  - ბ) განიხილავს და აფასებს სამეცნიერო სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ შემუშავებულ სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს და მათ საფუძველზე ადგენს ინსტიტუტის ერთიან სამუშაო სამეცნიერო-კვლევით პროგრამას;
  - გ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
  - დ) ღია კონკურსის საფუძველზე ფარული კენჭისყრით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;
  - ე) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებული დებულების, მისი ცვლილებებისა ან/და დამატებების;
  - ვ) მოისმენს და განიხილავს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, ცალკეულ მეცნიერთა საქმიანობის შედეგებს/ანგარიშებს, პრობლემატურ სამეცნიერო საკითხებს, თანამშრომლების სამეცნიერო მოხსენებებს;
  - ზ) ამზადებს ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშს;
  - თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო მეცნიერ-თანამშრომლებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე მაღალი ავტორიტეტის მქონე მეცნიერები.
  - ი) ასრულებს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
- 5.5. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრე სამეცნიერო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტმა.
- 5.6. როგორც წესი სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის საფუძველზე. სამეცნიერო საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საკითხის ფარული კენჭისყრით მიღების თაობაზე.
- 5.7. სამეცნიერო საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ყოველ სამ თვეში ერთხელ, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას საკუთარი ინიციატივით. რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე სამეცნიერო საბჭოს წევრთა მესამედის მოთხოვნით ან/და ინსტიტუტის დირექტორის ინიციატივით.
- 5.8. სამეცნიერო საბჭოს წევრის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:
  - ა) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
  - ბ) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადება;
  - გ) ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დატოვება;
  - დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

### **მუხლი 6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე**

- 6.1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან საბჭოს წევრთა მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. იგი უფლებამოსილია მოიწვიოს და წარმართოს საბჭოს სხდომები.
- 6.2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით.
- 6.3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
- ა) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო საბჭოს მუშაობას;
  - ბ) იწვევს სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
  - გ) ხმის უფლებით მონაწილეობს საბჭოს გადაწყვეტილებებში;
  - დ) მეთვალყურეობას უწევს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას.
- 6.4. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ვადაზე აღრე უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი შემთხვევები:
- ა) პირადი სურვილი;
  - ბ) სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილება, თუ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;
  - გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
  - დ) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადება;
  - ე) ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობიდან განთავისუფლება;
  - ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
- 6.5. სამეცნიერო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლებამოსილებებს. მოადგილის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს.

### **მუხლი 7. ინსტიტუტის დირექტორი**

- 7.1. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.
- 7.2. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა მიეკუთვნება ადმინისტრაციულ თანამდებობას.
- 7.3. ინსტიტუტის დირექტორი:
- ა) უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის პროექტს;
  - ბ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
  - გ) შეიმუშავებს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს და უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად;
  - დ) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით აცხადებს კონკურსს ინსტიტუტის ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე და ადგენს შესაბამისი საკონკურსო კომისიების შემადგენლობებს;
  - ე) თავისი უფლებამოსილების ვადით შეარჩევს და რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დირექტორის მოადგილის (მოადგილეების) კანდიდატურას;
  - ვ) თავისი უფლებამოსილების ვადით შეარჩევს და რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ინსტიტუტის სწავლული მდივნის კანდიდატურას რომელიც, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, აგრეთვე ასრულებს სამეცნიერო საბჭოს მდივნის მოვალეობებს;
  - ზ) საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ინსტიტუტის ფინანსური სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;
  - თ) უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომელთა მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რისთვისაც იგი შესაბამისი შუამდგომლობით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს;

ო) სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით ამზადებს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7.4. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია დანიშნოს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

#### **მუხლი 8. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი და დირექტორის უფლებამოსილებები**

8.1. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი შესაძლებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის წესდებით.

8.2. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად.

8.3. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

8.4. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

8.5. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

8.6. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

8.7. კანდიდატურის შერჩევისას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

8.8. დირექტორობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემა ხდება ფარული კენჭისყრით. შერჩეულია ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევრისა.

8.9. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატი და ვერც ერთმა ვერ მიიღო საკმარისი რაოდენობის ხმები, სამეცნიერო საბჭოს მიერ ინიშნება ახალი კონკურსი, რომელიც უნდა ჩატარდეს საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.

8.10. კანდიდატურის დამტკიცებაზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დასაბუთებულ უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას.

8.11. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება აკადემიური საბჭოს მიერ ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებამდე.

8.12. ინსტიტუტის დირექტორს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/მოადგილეები.

8.13. მოადგილე დირექტორის არყოფნისას ასრულებს მის მოვალეობას.

8.14. ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწეს სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში წარმოადგენს ინსტიტუტის სწავლული მდივანი. ინსტიტუტის სწავლული მდივანი ამზადებს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განსახილველ მასალას, უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი გეგმებისა და ინსტიტუტში შესრულებული სამუშაოების ანგარიშების დროულად შედგენას და უნივერსიტეტში წარდგენას, ინსტიტუტის კომპე-

ტენციის ფარგლებში კურირებს მაგისტრატურის და დოქტორანტურის საქმიანობას, ხელმძღვანელობს ინსტიტუტის ვებ-გვერდისათვის მასალების შედგენას და ინტერნეტში განთავსებას.

8.15. დირექტორის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი შემთხვევები:

- ა) პირადი სურვილი;
- ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
- გ) სასამართლოს მიერ ქმედუვნაროდ ან შეზღუდულ ქმედუვნარიანად აღიარება;
- დ) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადება;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

### **თავი III. ინსტიტუტის პერსონალი** **მუხლი 9. ინსტიტუტის პერსონალი**

9.1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციულ, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისგან, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება ინსტიტუტის საშტატო განრიგით.

9.2. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი შეიძლება შედგებოდეს მეცნიერებისა და პოსტდოქტორანტებისაგან.

9.3. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.

9.4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეუძლია შესვლა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს და მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს.

9.5. პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. პოსტდოქტორანტად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

9.6. დირექტორმა, დირექტორის მოადგილემ და სწავლულმა მდივანმა შეიძლება ინსტიტუტში შეთავსებით დაიკავონ რომელიმე სამეცნიერო თანამდებობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.7. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალს დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

9.8. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც აღნიშნულ წესსა და დამატებით პირობებს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

### **მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი**

10.1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

10.2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 5 წლის ვადით ან უვადოდ. უვადოდ თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული

აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვ). უვადოდ არჩეული მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ამ წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.

10.3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

10.4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

10.5. სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღი და დამატებითი პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული წესით, შესაბამისი საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე.

10.6. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც აღნიშნულ წესსა და დამატებით პირობებს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

### **მუხლი 11. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის წესი**

11.1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე უვადოდ არჩეული პირი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციას.

11.2. ატესტაციის დროს ხორციელდება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის მიერ გაწეული საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის შეფასება დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან.

11.3. ატესტაცია ტარდება კანონიერების, სამართლიანობის, საჯაროობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალობის პრინციპების დაცვით.

11.4. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციას ახორციელებს ინსტიტუტის საატესტაციო კომისია. საატესტაციო კომისიას ქმნის უნივერსიტეტის რექტორი.

11.5. დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის კრიტერიუმებსა და შეფასების წესს, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს შესაბამისი საატესტაციო კომისია. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს შესაბამისი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

11.6. ატესტაციის შედეგების მიხედვით, საატესტაციო კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

- ა) პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
- ბ) პირი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

11.7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ატესტაციის შედეგი იწვევს პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას.

11.8. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში (მისი არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.

### **მუხლი 12. მეცნიერის უფლებები და მოვალეობები**

12.1. მეცნიერის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ინსტიტუტის დებულებით ან/და შრომითი ხელშეკრულებით.

12.2. მეცნიერს უფლება აქვს:

- ა) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
- ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
- გ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;
- დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;
- ე) განახორციელოს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

**12.3. მეცნიერი ვალდებულია:**

- ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
- ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

**12.4. უნივერსიტეტი და ინსტიტუტი უზრუნველყოფენ სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას.**

**12.5. მეცნიერის მიერ აკადემიური თანამდებობისა და სამეცნიერო თანამდებობის შეთავსების საკითხი განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.**

**12.6. მეცნიერის შრომისა და სხვა სოციალურ გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა, შრომითი ხელშეკრულება, ინსტიტუტის დებულება.**

**მუხლი 13. სამეცნიერო და დამხმარე პერსონალთან შრომითი ურთიერთობები**

**13.1. სამეცნიერო და დამხმარე პერსონალთან ინსტიტუტის დირექტორი დებს შრომით ხელშეკრულებას**

**13.2. შრომით ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:**

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- გ) დისციპლინური ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;
- დ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

**თავი IV. სხვა დებულებები**

**მუხლი 14. ინსტიტუტის ქონება, დაფინანსება და სახელმწიფო კონტროლი**

**14.1. ინსტიტუტის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, დაფინანსება და სახელმწიფო კონტროლი რეგულირდება და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.**

**14.2. ინსტიტუტს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად უნივერსიტეტისაგან სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს შესაბამისი ქონება, რომელიც ინსტიტუტის სხვა ქონებასთან ერთად შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ ამ დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და დგენილი წესის თანახმად.**

**14.3. ინსტიტუტი განთავსებულია რეორგანიზაციამდე არსებული სსიპ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე და შენობა ნაგებობებში:**

- ყოფილი თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური (გეოფიზიკური) ობსერვატორიის 2-სართულიანი შენობა (აგებული 1861 წელს) მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.150ა, (კოორდინატები: 8482550.00; 4618350.00), შენობა წარმოადგენს კულ-

ტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის ძეგლს სააღრიცხვო ბარათი №010101264; საკადასტრო კოდი №01.13.08.001.095

- ფარავნის აგრომეტეოროლოგიური ბაზა, მდებარე ნინოწმინდის რაიონში, სოფ. ფარავანი (რადიონოკა), საკადასტრო კოდი №65.02.33.105;
- წყლის რესურსებისა და ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის ჰიდრომეტეოროლოგიური ბაზა, მდებარე სიღნაღის რაიონში, სოფ. ძეგლი ანაგა (საკადასტრო კოდი 56.08.45.110);
- ატმოსფერული ელექტრობის პავილიონი, მდებარე ქ. დუშეთში, ობსერვატორიის ქ. №1;

14.4 ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **თავი V. გარდამავალი დებულებები**

##### **მუხლი 15. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის განსაზღვრა**

15.1. 2017 წლის 01 ივნისამდე განისაზღვროს უნივერსიტეტის სისტემაში არსებული ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (ცენტრების) სტატუსი.

15.2. ახლად დაფუძნებული ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული ჩაითვალოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) უფლებამონაცვლედ.

##### **მუხლი 16. ინსტიტუტის არსებული სამეცნიერო პერსონალის უფლებამოსილების შესახებ**

16.1. ამ დებულების ძალაში შესვლა არ იწვევს ინსტიტუტის არჩევით თანამდებობებზე მყოფი პირების უფლებამოსილების შეწყვეტას, ისინი აგრძელებენ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას შესაბამის თანამდებობებზე არჩევნების ჩატარებამდე.

16.2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აგრძელებს საქმიანობას ახალი შემადგენლობის შექმნამდე.